N1897 2015 წლის 7 სექტემბერი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თბილისის დარგობრივი ეკონომიკური კვლევების და საინვესტიციო წინადადების მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად გატარებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური დარგების ანალიზის და მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების ობიექტების საინვესტიციო წინადადებების სახით მომზადების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დარგობრივი ეკონომიკური კვლევების მომსახურებების, ასევე საინვესტიციო წინადადებების მომზადების მომსახურებების შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარის ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებებიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**